

რედაქცია

გადავიწინებ პრინციპულად. ი. მუსხიშვილის ხელმძღვანელობით.

ხელის-მოწერა

ქვემოთ მოცემულ მისამართებში, რედაქციის "დროებას" დასაბუთებლად, ან უბრალოდ იმისათვის, რომ იხილონ, ან რედაქციის "დროებას" დასაბუთებლად, ან უბრალოდ იმისათვის, რომ იხილონ, ან რედაქციის "დროებას" დასაბუთებლად, ან უბრალოდ იმისათვის, რომ იხილონ...

"დროება"-ნიმუხის ფასი

წელიწადში 6 თვეს 3 თვეს
დროება და "ნიმუხი" ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.
"დროება" 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
"ნიმუხი" 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

დროება

ბათუმის ყოველ-დღე მრვაბათს გარდა

შანი განცხადების

დროებასთან ერთად 1 კუპონი გამოდის, რომელიც მოსახლეობისათვის სხვადასხვა სახის მოსახლეობისათვის გამოდის. ეს კუპონი გამოდის დროებასთან ერთად 1 კუპონი გამოდის, რომელიც მოსახლეობისათვის სხვადასხვა სახის მოსახლეობისათვის გამოდის.

დროებასთან ერთად 1 კუპონი გამოდის, რომელიც მოსახლეობისათვის სხვადასხვა სახის მოსახლეობისათვის გამოდის.

შვედების დღესასწაულის გამო, შემდეგი ნომერი "დროებისა" გამოვა სამშაბათს, 25 თებერვალს.

ანწრუნის თეატრში
გვირგვინი, 22 თებერვალს
ბ ე ნ ე მ ი ს ი

ნ. ხეიძისა

ქართულ ტრუპისაგან წარმოიდგინება

I

ქოროლი

ტრაგედია 4 მოქმედ. ზ. ანტონოვისა.

II

პარკმახარისა

ხუმრობა-ვოდევილი ერთ მოქმედებად
თ. რაფ. შრისთვის.

ანტრატუმში იმღერებს აბდუ-ბაღი.
ქართულ სიმღერებს იმღერებს
ნ. გაბუნია.

ბილეთები ისეა დასაყრდენი ანწრუნის თეატრის კასისაში.
დასაყრდენი 8 საათზე.

დრამატული საზოგადოების მართებლობა აცხადებს, რომ ამ საზოგადოების წევრებს შეუძლიანთ შემოიტანონ წლის ფული სუთ-სუთი მანეთი ზირველ მარტამდი, შემდეგი ადრესით: თბილისს, კასისიერს გ. თუმანიშვილს ბარათისთვის ქუჩაზე, სახლში № 8. (6-5)

"დროებისა" ფელტონი, 21 თებერვალი.
ჩვენს ლიტერატურაზე.
წერილი I.
ნიკო ბანათაშვილი.

დედამიწის ზურგზე ცოტა ხალხი მოიძებნება, რომელიც ქართველების მდგომარეობაში იყოს: გრძობდეს თვის სულიერს დიდებას, მდიდარს წარსულ ცხოვრებას, ჰქონდეს აგრე უძველესი და მაღალი კულტურა და ამასთანავე ვერ ჰპოვებდეს საშუალებას ჩააყენოს ცხოვრება თვის იმ კალაპოტში, რომელიც უმსუბუქებს განაგრძოს თვისი განვითარება გონიერად და ზნეობით, უჭირდეს სხვადასხვა ისტორიულ ხალხთ რაზმში საუკუნოვან დამსახურებულის ადგილის დაპყრობა.
სამინელი ზნეობითი ბრძოლა იბადება ხალხში, როცა ჰხედავს მზგავს

ტელეგრაფები

(ხელის მოწერის საგნების)

ლონდონი, 19 თებერვალს. დენერალ რობერტსი დანიშნა ჯარების უფროსად ტრანსკავკასიაში. ნატალის დუბენატარმა ბერძუნის, ბომბეის და კალკატის კუნძულებიდან გაგზავნა ტრანსკავკასიაში შესამზარებელი ჯარები: 2 ზოღვი და 6 რატა.

აშინა, 19 თებერვალი. ალბანის დიგას ზრინიდან გაგზავნა ოსმალეთის ჩინოვნიკები, რომლებსაც ქაჯაქებში გას. "გოლასს" აცხადებენ მესამე ტაშიდან, რომ იქ გამძღარა უამი და მოუკლავს 4 კაცს.

პეტერბურგი, 19 თებერვალი. აფიცარულად. დენ. ფელდ-გენერალის ამხანაგს ალ. ბორანცოვს მიუვიდა შთამბეჭობითი. გრაფის დინსება ბძანებას, დაანდეს ორი მედალი: გერცხლის ზედ წარწერით: "გერმანიის გოქ-ტეპეს აღებისათვის 12-ს იანვარს 1881 წ." გოტგის ლენტი გულზედ საცანტებლად და მიეცეს მხედრობა, რომელნიც გოქ-ტეპეს აღებაში ერივნენ, მეორე მედალი ბრწყინვალე-ბრძანებისა უნდა მიეცეს ვეკლასს, რომელნიც 79-80 წ. ამიანობაში ერივნენ. მაგრამ ამ უკანასკნელი მედალის მაგვრათ იმ მხედრობა, რომელნიც ერივნენ ყარსის აღებაში, შეუძლიანთ აცხადონ გერცხლის მედალი. ხმება, რომ სენატორის რევიზიის მოხდენა ციმბინში დაშტკიცდეს.

დაბრკოლებას, იტანჯება ნაციონალური თავ-მოყვარეობა მისი. დაუჭრობელი და მკაცრი ალი უნდა დაბრუნდეს კაცის გულში, როცა ის დამსახურებულ ჯილდოს მოკლებულია, როცა გრძობს, რომ ლუკმაპურის ღირსია და ვერ შოულობს.
აშობენ, მხოლოდ იმ ხალხს აქვს ნება ისტორიულ ხალხთ რაზმში ჩადგეს, რომელსაც რამე ჰქონდათ მიუძღვის საზოგადო კაცობრიობის განათლების წინაშე, რომლის ცხოვრებას რამე კვალი გაუვლია რომელიმე გონების განმავარჯიშებელ ასპარეზზე: ან ლიტერატურაში, ან მეცნიერებაში, ან სხვა გვარ რამ ხელოვნებაში. ძარგი და კეთილი ჩვენც ამის თანახმა ვართ, ჩვენც ამ აზრს აღვიარებთ.
მხოლოდ აქ ერთი საგანი გვაწუხებს თვისი უსამართლოებით: ნუ თუ ცივილიზაციისთვის საქართველოს არა უღვაწინა-რა? ნუ თუ მის მწერლო-

შენიშვნა.

(წერილი რედაქტორთან)

შალაქი მუთისი და დაბა ხონი ერთმანეთს ექიშებიან სამსწავლებლო სემინარიის შესახებ: "არა, ჩვენში გაკეთდეს, და არა, ჩვენში".

ჩვენ არ ვიცით, რას აუღელეებია ისინი: ქვეყნის ერთგულებასა და სწავლა-განათლების სურვილს, თუ სხვა რამე ხალხთან დურ საქმეს; მაგრამ ყოველ შემთხვევაში უპირატესობას კი ხონს ვაძლევთ...

დაბალი სასწავლებლები და იმისთანა საშუალო სასწავლებელი, როგორც სამსწავლებლო სემინარია, რაც უფრო აქა-იქ იქნებიან გაბეჭული, უფრო მეტი გაეღწეა ექნებათ ხალხზედ და მეტს სარგებლობასაც მოუტანენ.

სამეგრელოში და ზურიაში ბევრს შეხედებით, რომ რალა უსწავლიათ და ცოტა ნიშან წყალი და ფერი მიცემიათ და გადარჩენიან მათი თანამომეების ბედს: ლაქიაობას და ამ გვარ რამე უმნიშვნელო ხელობას მხოლოდ მითი, რომ მარტივში და მზურგეთში სასწავლებელი ყოფილა. ეს სასწავლებლები რომ მუთისში ყოფილიყვენ გადმოტანილი, მაშინ ასის თავი იმათგანი ვეღარ გამოიზღებოდა შეუძლებლობისა და მოუხერხებლობის გამო.

მუთისში გიმნაზია, პროგიმნაზია, სკოლები და სასულიერო სასწავლებელი. მისაცა ჰსურსთ, იქ შეუძლიანთ გამოზარდონ შეილები და ხონი კი,

ბას და ხელოვნებას არაერთი მნიშვნელობა არა აქვს საზოგადო, საქვეყნო ისტორიაში? უსამართლოება იქნება უარ-ჰყოს მეცნიერებამ ქართველის ერის დამსახურება როგორც ლიტერატურაში, აგრეთვე ხელოვნებაში, და არც ჰყოფს უარს.

შლანდელი მიმართულება გვიმტკიცებს, რომ მეცნიერება ღირსეულის ყურადღებით იკვლევს რაც რომ დამარხულია ჩვენის მამულის ნიადაგზე; მე მრწამს ის დრო, როცა ჩვენ შესაბამ ადგილს დავიჭერთ სხვა ხალხთა რაზმში.

აშლანდელი ჩვენი უმნიშვნელობის მიზეზი არის უდროოთ შეჩერება ჩვენის პოლიტიკურ ცხოვრების მსვლელობისა.

შეჩერდა რა დამოუკიდებელი ცხოვრება შემდეგ დიდის ხნის არეულობისა, საქართველოს ცოტა უნდა მოესვენა, შედგომოდა ნივთიერის მდგომარეობის აღდგენას, გაუმ-

რომელსაც გარშემო თორმეტი ათასი მოსახლე ასხია, რომელსაც უფრო ემარჯვება სამეგრელო, მეგობ-რეთი, სამურდაყანო, ლენხუმი, ბურია და სხვ., ერთსაც მოკლებულია. ჩვენის ჰაზრით, შორაპანში რომ ყოფილიყო სამსწავლებლო სემინარია, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ რადგან ჯერი მხოლოდ მუთისზედა და ხონზედ მიდგა, მაშინ კი ხონი უფრო ხელ-მოსაკიდებელია.

იქ ყმაწვილის აღზრდა ერთი-ორად, ერთი-სამად, უფრო იაფი და ადვილი იქნება, ვინემ მუთისში.

როგორც თვითონ სემინარიისათვის, ისე შეუძლებელ ხალხისათვის ეს დიდი საქმეა და რაც შეეხება იმ ხალხს, რომელთაც მუთისში მოყვანა და შენახვა შეუძლიათ შეილებისა, ისინი ამ სასწავლებელში რალათ მისცენ შეილებს? მიჰმართვენ გიმნაზიებსა და არა სემინარიებს, რადგან სამსახურში მეტს სიმართლეს აძლევენ სემინარიასზედ.

მხოლოდ ეს შეუძლიანთ სტკეან ზოგიერთებმა: ყმაწვილების იქ სჯობიან გამოზნდა, სადაც მეტი ჰკუთის მოძრაობა თვითონ მცხოვრებლებში და სადაც მეტ საზრდოს იშოვნიან ახალ-გაზდები ზნეობისა და ჰკუთისათვისო. და ამის პასუხად, აი რას მოგახსენებთ: საქმე სახლების სიბევრზედა და მცხოვრებლების რიცხვზედ ხომ არ არის... და ისე, რაც შეეხება ჰკუთ-ზნეობას, რალა მუთისი და რალა ხონი. მართი შესწვი და მეორე წასცხე! ჩემის ჰაზრით, ხონი კიდევ აჯობებს.

ჯობესობას. უნდა განახლებულიყო ხალხის გონიერი ცხოვრება, რომელიც შეჩერდა სხვა-და-სხვა უსამართლო გარემოებების გამო.

მაგრამ ამ დროს ჩვენ ხელი შეგვეშალა: ჩვენ იძულებული ვიყავით შეჩვევოდით სხვა მდგომარეობას უცხო ჩვეულებებს და წყობილებას; ჩვენ უნდა დავმორჩილებოდით იმ ზედ-მოქმედებას, რომლის ფესვი არ მობმულია საქართველოს ისტორიულ ნიადაგზე. მაშასადამე ნაციონალურის სულის სიმძლავრე უნდა დამცირებულიყო ახალ წყობილების ზედ-მოქმედების გამო. ის ძალა და ღონე, რომელიც უნდა მოეხმარა ხალხს თავისი გონიერების გასავარჯიშებელათ, ახალი და უცხო წყობილების შეჩვევას მოუწადა. წასრული თან-და-თან გემორდებოდა და მომავალი მკაცრი წყვილით იყო შემოსილი: ნათელი სხივი ძველის არსებობისა ჯერ კიდევ არ გამჭრალიყო, მომავალი კი განთიადს

სამწიგნობრო საშუალობას რაც შეე-
ნება, შორს არ არის ხონი მუთათის-
ზედ, რამდენიმე საათის სავალია, და
მიტანა არ გაძნელებდა. მაგრამ იმე-
დია, იმისთანა საშუალობას, როგორც
მუთათისში, ასინიც მალე გაიჩენენ.

აქ მხოლოდ ეს უნდა ვსთქვათ,
რომ მუთათისი უმჯობესი იქნება იმ
რეა კაცისათვის, რომელნიც მასწავ-
ლებლობათ იქნებიან დანიშნული; მა-
გრამ ნუ დავიფიქვებთ, რომ სემი-
ნარიას მათთვის კი არ მართავენ,
იმათ ნიშნავენ სემინარიისათვის და
წინააღმდეგ შემთხვევაში, ძროხის
ბანზედ ატანა იქნება, რომ დანა არ
ჩამოიტანონ.

ეს არის ჩემი საკუთარი ჰაზრი ამ
მომავალ სემინარიის შესახებ... მა-
გრამ შეიძლება ეს დებოდეს და ამისა-
თვის ვისურვებთ, რომ ისე გათავდეს
ეს საქმე როგორც საუბრებში იქ-
ნება.

აქავე

შეზღუდვის საზოგადოების ბალი

ძარგა ხანია, რომ ჩვენს საზოგა-
დობას ისეთი გულ-წრფელი სიამო-
ნება და მხარულება არ უნახავს, რო-
გორცა ნახა წარსულის სამუბათს.

ქართულის წეს-კითხვის გამაგრე-
ლებელმა საზოგადოებამ გამართა ბა-
ლი, რომელზედაც თითქმის მთელი
ქართველი საზოგადოება დაესწრო.
შველას ეტყობოდა პირისახეზედ რა-
ღაცა საერთო სიამოვნება, რომელიც
ამჟამად დაგანახებდათ, რომ აქ მო-
გროვდებოდნენ არა ძალდატანებულის
ბილეთების მიხედვით, არამედ იმ თა-
ნაგრძობით, რომელსაც ამჟამად გა-
მაურკვევია ჩვენს საზოგადოებისა-
თვის თავისი საქმეობა. მით უფრო
სასიამოვნო იყო ამ ყრილობის
ნახვა, რომ ყველანი ძალ-დაუტანებ-
ლივ მხირულებდნენ.

ზამმართველებსაც თავის მხრით ყო-
ველი საშუალება მიეღოთ საზოგა-
დობის გასამხარულებლათ, შველასა

ჰქონდა თავის ალაგი, ყველას შეეძ-
ლო თავის გემოვნებაზედ დროს გა-
ტარება: ვისაც ნებადართო ტანცაობა,
იმათთვის იყო მოწვეული ორკესტრი,
ვისაც ლეკური, იმათთვის აბდულ-
ბალი თავისის დასით.

ასეთი ლეკურები გაიმართა, რომ-
ლის მზგავსიც ჩემს თვალებს დიდი
ხანია არა უნახავს-რა. მოლექურეთ
შორის ყველაზედ მომეტებულათ თა-
ვი გამოიჩინეს კნაქნა მაყაშვი-
ლისამ და კნინა ამირაჯიბისამ; მა-
გრამ ორთავე სრულებით სხვა-და-სხვა
რიგისა და ხასიათის თამაშობა ჰქონ-
დათ. პირველი წარმოვიდგენდათ ნარ-
ნარ, წყნარს ხასიათს, რომლის მოძ-
რობაც, უფრო ცურვას გვაგონებდა,
სანამ სიარულს; სრულებით არ ეტყო-
ბოდა რხევა და ყოველი მიხრა-მოხრა
წარმოვიდგენდათ გრაციით საესე სხვა-
და-სხვა სურათებს. კნინა ამი-
რაჯიბისა კი წარმოვიდგენდა სრულ-
ლებით სხვა ხასიათს, რომელსაც თა-
ვისი განსაკუთრებით მშვენიერება
აქვს. ეს კვლავი მოთამაშე გვიხა-
ტავდა სიცოცხლით საესე ბუნებას,
რომელიც მეტის გრძობისაგან ვერ
ისვენებს და არც სხვას ასვენებს; მა-
გრამ იმ მოუსვენრობასთან გაძღვესთ
რადაცა ზეციურ სიამოვნებას, რომე-
ლიც ყოველ წუთის სანატრელათა
აქვსთ გახდილი.

პირველი მოთამაშე წარმოვიდგენს
ზაფხულის დამშვიდებულს ნიაცს; გო-
რკი მრისხანებით საესე ქარიშხალს!
და ამ ორივე ხასიათს თავ-თავისი
ღირსება აქვს, რომლებიც აღვიძებენ
კაცში წარმოუთქმელს გრძობას.
სამწიგნობროთ, ამათ თამაშს ვერ მიემ-
ზგავსებოდა იმათთან მოთამაშე კაცე-
ბის თამაში, რომლებიც ყოველის
ღონის-ძიებითა ცდილობდნენ მიება-
ძათ ქალებისათვის, მაგრამ ვერა ხდე-
ბოდნენ-რსა. იქამდისინ გაიტაცა სა-
ზოგადოება ამათ, თამაშმა, რომ
დიდა თუ პატარას, ქართველსა, თუ
სხვა ქვეყნის ხალხს, ხანგრძლივი ტა-

გამათქმული მთელის თავის მამულის
გაქმნისა, დასძულ გრძობებისა. სდ-
და-მოცემული პოეტი ამბობს:

წარუდ წყლისა ზიბს სუკდანი იფქრთ
გასართულებად;
იქ კიბიუბდი ნაწნობს ადგილს განსსუკ-
ნებლად;
იქ ღებლს მდელსაზედ სანუკუშოდ გინამე
ცრქმდით,
იქაც ყოველი არე-მარე იყო მოწვენით.

და მერმე:
არ გინი ამ დროს ხეშს წინაშე ჩვენი
(ესა-კრუბა
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამბობსა. *)

რაკი წასრული ხელიდან გაუსხლტა
და მომავლის გზა ჯერ გაუკაფა
იყო, ერი სასო წარკვეთით ეძიებდა
თავის ხვედრს, მაგრამ ვერა ჰპოულობ-
და საშველს.

*) უფაქრი მტკვრის ზირზედ.

მით მ-დლობა ათქმევინა იმათ თამაშ-
ზედ.

ეს ბალ კიდევ იმითი გაერჩევი-
და სხვა ამ გვარ ბალებს, რომ არა
ყოფილა გამართული ბუჭეტი, რომ-
ლითაც ტყავს აძრობენ და წამ-და-
უნუშმ ფულის წართმევით გუნებას
უფუჭებენ სტუმრებს.

მართის სიტყვით, ხალხი იყო საკმა-
რი, მხარულდება მრავალი, ასე რომ
ყველა იქ მყოფი შინ სიამოვნებით
უნდა დაბრუნებულიყო. ამ ბალის
მოთავებმა დაამტკიცეს, რომ იმათ
სცნობით ქართველების გული,
მოთხოვნელება და ის ქართველური
მასპინძლობა, რომელიც სტუმრებსაც
და მასპინძელსაც გულ-წრფელათ ამ-
ხარულებს.—მულითადა მდლობას
უძღვნით ამ დიდხანს დაუვიწყარის
საღამოსი მასპინძლებს.

ს. მ.

ახალი ამბები.

ამ მომავალ აპრილიდამ ჩვენს ქა-
ლაქში ერთი ახალი გაზეთი გამოვა
კიდევ, სახელად „იურიდიკული მიმო-
ხილვა“ (Юридическое обозрение). ეს
მეორე იურიდიკული გაზეთი იქნება
ჩვენში; პირველი, როგორც მოგეხსენ-
ებათ, ბატ. შარაბეგოვის გაზეთია
„სასამართლოს წესები“ (Судебные
порядки). ამ მომავალ გაზეთის რე-
დაქტორად დამტკიცებულია ნაფიცი
ვექილი ა. მ. სტეფანოვი და გამომ-
ცემელია ა. ს. ჩრენკელი.

ბუშინ, 19 თებერვალი, ხელმოწი-
ფე იმპერატორის ტახტზე ასვლის
დღესასწაულის გამო, გიმნაზიის ეკლეს-
იაში გარდაიხადეს პარაკლისი და
შუადღებზე 21 ხარბახანი გაისროლეს.
საღამოს სახლოები, მალაზიები და
ალექსანდროვის მალი ფერად-ფე-
რადი ფარებით გაჩირაღდებული
იყო.

„ეიკი, უძმაო, შენ სუკდარი შენი!
გინძლო იზოგნო შენი სსშუკელი!“

მუბნება ხმა იღუმალი კავშნის
პოეტს, მაგრამ ის აი რა პასუხს აძ-
ლევს.

მაგრამ მე შესუდრს ჩემსა ვერ ვშოკვბ
და მით კავშნს ვეღარ ვამოტრებ.

აქ მრთელის ერისა და პოეტის
გრძობა ერთმანერთზე არის გადამ-
მული; ერთის მეორისგან დაშორება
შეუძლებელია, თითქო ზირველსკად
აღზრდილა შეიძლება.

თუმცა კი წარსულისგან ერს ბევ-
რი ტანჯვა და უბედურება ახსოვდა,
მაგრამ მინც სტიროდა მას, რადგან
მომავალი კიდევ უარესს ჰპირდებოდა,
ჰპირდებოდა წახოცვას, მისს საღმრთო
საუნჯისას, მის საერო პირადობი-
სას.

მრი პოეტის ენით ამბობს:

ბუშინს მოგვიყვინდა ჩვენი პირველი
(ინერის) ნომერი ახლად-დაბადე-
ბულის ყოველ თვიურ სალიტერატუ-
რო და საპოლიტიკურო ჟურნალის
„იმედიასა“.

ამ დღეებში უფრო დალაგებით
მოვილაპარაკებთ ამ წიგნის თაობა-
ზედ; ახლა კი მხოლოდ მინაარსი
მოგვეყვას:

შაგრაფი--მიხ. ასათიანისა, მტკვრის
ბასია რიანთან (პოემა) — იმისივე,
შემთხვევას მსხვერპლი (ამბავი) —
ბიორგი შრელაშვილისა, ოსტეას ან-
დეჰმი (ლექსი) — მიხ. ასათიანისა,
რამდენიმე სიტყვა ჩვენს მეურნეა-
ბაზედ — ***-სა, ერთი ჩვენი სდა-
რბის მაზეკა — მიხ. ბურგენიძისა,
ქართული მწერლობა — სტ. შრ — შვი-
ლისა, ბიბლიოგრაფია — დ. ა. აბდულ-
შელიშვილისა, შინაური მიმდინაეზა —
პ. მონისა და ზოლიტიკის მაგოედი —
ტატალასი.

ხაშურის რკინის გზის სტანციიდან
შემდეგ შემთხვევას გვწერენ:

„ბუშინ, 17-ს ამ თვისას, ხაშურ-
ში მცხოვრებელის მ. ტიტევის მო-
ჯამაგირე ვინმე მიხეილა იმერელი
მისულიყო თავის სახლის მახლობლად
ქის წყლის ამოსაღებლად და ჩაეშვა
თუ არა შიგ წყლის ამოსაღება ტურ-
ქელი, უეცრად ჩაეარდა და ზედ მიჰ-
ყვა მრთელი შენობა ქისა.

„შიტყეს თუ არა ეს ამბავი პო-
ლიციის პრისტავმა დ. დეანოზოვმა
და ინგლისელმა ჰეიმა, მოკვიდნენ
სხენებულ ალავას და მიიღეს შრო-
მა; გამართეს ქახრაკები და სხვა ია-
რალი მიწისა და ქვის ამოსაყრელათ.
როგორც შემოწმა ინგლისელმა, ხუ-
თი საყენი ქვა და მიწა აწვა ზედაგან
სხენებულ მიხეილას. მუშაობა არ
შეუწყვეტიათ მიწისა და ქვის ამო-
ყრაზედ და დღეს ორ საათზე შუა-
დღის შემდეგ იმერელი ამოიღეს ცო-
ცხალი, და იმედია, რომ არ მოკვდეს
ამ შენთხვევით, რადგანც არ აქვს
მას არა ვითარი სხეულის ზიანა, გარ-

ქე, მწირო, სოფელად ყოველსა აქვს ყამი
და ბოლო,
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უფამოდ მეღების
ბოლო.

მაგრამ განვლო რამოდენიმე წელ-
მა; საქართველოს საზოგადოება ცო-
ტა შეეჩვია ახალ-წყობილებას.

თფილისის გიმნაზიამ, დაარსებულ-
მა 1830 წელსა, გამოუზარდა მას
რამოდენიმე შვილები, რომელნიც
უმალღეს სასწავლებლებისაკენ გა-
მგზავრენ.

მაშინ დაიბადა იმედი, რომლითაც
კავშნის პოეტმა იმედი და ეს ნუ-
გეში ჩასძახა საფლავში მეფე ირაკ-
ლის, ამ უკანასკნელს ივერიის სიმტი-
ცის სულსა:


ან არღა ერის ქართლის გულისა კას-
ზიის ღელვა
გვრდა ურყევს მას გასვენებას მისი აღ-

არ გვიქალდა: ბნელი ახლოვდებო-
და, სინათლე კი იბჭურდა.

აქ წასრულისა და მომავლის სა-
ზღვარზე დაისახა ბრძოლა და ამ
ბრძოლამ დაჰბადა ნიკო ბარათაშვი-
ლი.

ნიკო ბარათაშვილი თავის ლექ-
სებში დაგვიხატავს იმ საშინელ პი-
ხოლოგიურს წამს, რომელსაც რუსე-
ბი გადაძაგად წამს ეძახიან (переход-
ный момент); მისი ნაწილები შეად-
გენენ ერთს საქართველოს ისტორიის
გვერდს, საცა მჭევრ-მეტყველურად
გამოიხატება ჩვენის საზოგადოების
მდგომარეობა მეოცდაათე და მეორ-
მოცე წლებში მდგომარე საუკუ-
ნისა.

პოეტის ტანჯვა, მის ლექსებში
გამოხატული, იყო მთელი ხალხის
ტანჯვა; მისი სულის ბრძოლაში
ვპოვებთ ჩვენის ხალხის შინაგანს,
გამოუთქმელ იწუნარებას; ხალხს
მაგიერად პოეტი სტიროდა, ის იყო



და თავისა, რომელზედაც მცირე-დი ტყავის გაჭრილობა აქვს ქვის-გან.

„მრავალმა პირმა დაასაჩუქრეს ხსენებული ვარდაჩენილი სიკვდილისაგან მიხეილა იმერელი ფულით“.

* *

მუშინ, ხუთშაბათს, ხელმწიფის დღესასწაულის გამო, გაზეთი არ გამოსულა.

„დროების“ კორექტორი

ახალციხიდან, 5 თებერვალს. მრავალნი ჩვენგანნი რუსის მასწავლებლებს ან დირექტორებს უჩივიან, რომ პირველ სასწავლოში შესულ მოწაფეთ თავის სამშობლო ენას არ ასწავლიან, მაშინვე რუსულს აძლევენ ხელთ სასწავლებლად. მართალია, ამისთანა ჯეროვან საჩივარზედ დიდი სიმართლე გვაქვს, ამიტომ რომ ვისაც თავის სამშობლო ქართული ენა საფუძვლიანად შესწავლული არა აქვს, იმისთანამ რაც მრავალი ენები ისწავლოს, რაც მრავალი მეცნიერება შეისწავლოს და რაც დიდ განათლების გზა-კვალს ადგეს, მაინც სამშობლოს საიმისო სადგებლობას ვერ მოუტანს, როგორც მოუტანდა თავის სამშობლო ენის პირველად რიგთან შესწავლითა.

ამით არის, რომ მრავალი ევროპული ლექსები გამრავლდა ჩვენს ენაში, რომელიც გლეხ-კაცთ არ ესმის და საჭიროებენ ყოველ სტატიების წაკითხვაზედ ახსნა-განმარტებასა სწავლულთაგან. რათა? რისთვის? იმისთვის, რომ ქართულის ენის უპოვინარობით ავტორი რუსულ-ფრანგულ-ნემეცურ და მისთანა ენების ლექსებს წვიმა-წყალივით ისწავროს ქართულს თხზულებაში თავის აზრის უფრო ცხოველად გამოსახატვად; მიზეზს კი სდებს ტექნიკური და მისთანა იშვიათი ლექსები ასე უნდა, ასრე ხმარობენ საზოგადოდ ევრო-

პიელები და ჩვენც ასე უნდა ვახმა-როთო!..

ახლა ვსთქვათ ბერძული, ლათინური, გოთური უხმარიათ იტალიელებს, სპანიელებს, ბრიტანიელებს, ფრანსუზებს და სხვათ, ეს იმისთვის, რომ ბერძული და ლათინური ევროპის დედ-ენებად ითვლება და ხმარების სიმართლე აქვსთ, როგორც იმათ, ისე გერმანიელებს, სლავიანებს და რუსებსა. ჩვენ გვაქვს განა სიმართლე მათი მამბებისა? რადგან ჩვენი ენა არ არის ეგრედ გლახაკი, მოუწერებელი და ღონე-მოწყვეტილი, არა მგონია რომ სამართლე გვექონდეს. თუ კი ასრეა, მაშ რაღად ვამტყუნებთ ძველ ფილისოფოზებს, ძველ მწერალთ: „გაუგებელ ინაზედ უწერიათ თავიანთ თხზულება ერისთვისაო“!

მართა რუსების მასწავლებელთ არ ეუჩივით; ეუჩივით ჩვენ ქართველ მასწავლებელთაც, რომელიც გულგრილად ეპყრობიან თავიანთ ვალდებულობასა. ზემებრივად სასწავლებლებში არიან და გონებით კი ათას ადვილას დაჰქრიან; არ აკმაყოფილებენ სწავლით მოწაფებსა, იმდურებენ საზოგადოებასა და მასთან იტყვენ თავიანთ სახელსაცა. ამნაირნი პირნი ყოველ მხარეს არიან. ამგვარი საჩივარი გავიგონე ტოლოშის და ხერთვისის მასწავლებელთ ზედა. ზაფხულობით ხილს ჰკრებენ საპალნობით და მათ გაყიდვას უნდებიან, სასწავლებელი კი მიუტოვებიათ. აი ყურადსაღები მოვლენა.

სამწუხაროდ, სადაც უფრო ენერგიული მისწავლებელი საჭიროებს სადაც უფრო სამაგალითო კეთილი მწყემსი ორ-გვარ სარწმუნოების მქონე ქართველებში, იქ წინაღმდეგად ვხედავთ მეტად გაუგებრობა და საწყალ პირთა. იმისთვის ჩვენი ერობა და ქრისტიანობა დაწინაურების და წარმატების მაგიერ წლითგან-წელიწადზე ორ-სამ ნაბიჯით უკან მიდის, სიცოცხლის ნიშნები ეკარგება!...

თველოს გამქრალი დედა და მყოობალი მისი სიმცირე. უწყალო, შეუბრალებელმა სიკვდილმა გამოგვაცალა ხელიდგან კაენის პოეტის, რომლის ნიჭი ჯერ კიდე არ გაშლილიყო მრთელის თვისის სიმშვენიერით; დადუმდა უდროვოთ ქნარი მისი და მწუხარების მუხამ დაუხუტა. მას თეა-ლები.

ახლა დრო არის ჩავსახოთ მას საფლავში ის იმედი, რომლის სუსტმა სხივმა გაუხარა უკანასკნელნი დღენი *) და ცოტა ოდნით გაუცხოველა, სატრფო სამშობლოს დაცემის გამო ტანჯული გული!

ქართულ პოეზიაში ჩვენ ვერ გვიპოვნია თხზულება, რომელშიაც ლირიზმი იმ სიმალღებედ ასულიყოს, როგორც ნიკო ბარათაშვილის ლე-

*) ისილე „საფლავი მკვირის ირავლი-სა“.

11 იანვარს, სალამოს ლოცვის დროს, ჩვენებურ ერთ ქართველს ერთ სომეხთან ჩხუბი მოუვიდა. ქართველი ამ სომეხს რბილად ამანტერვეს ძველ ქალაქში. მაშინვე წაუა სომეხი და შეატყობინებს სომეხების კინტოებსა ამ თავის გალახვას ქართველისაგან. იმ წამსვე შეკრებებიან ხიდის-ყურზედ სიმრავლით სომეხები და წამოვლენ დუქნის ხაფნის დიდროვანის კეტებითა და შემოეცვიან ძველ ქალაქის ქუჩებში, როცა ერთი ეკლესიებში არის სალამოს ლოცვაზედა, და დაუმენენ კეტებს წინ დამხდომთ ახალგაზდათ, დროულთა კაცთა თუ დედა-კაცთა. ბამოვა ერთი ეკლესიებთაგან ნახევენ ამ გვარ უწესოებასა. აღელდებიან ყმაწვილ-კაცნი სამაგიეროს გარდახდაზედა ერთი-ხუთად და ათად, მაგრამ დაბრძნილნი პირნი დაამშვიდებენ, რომ განხეთქილება არ მოხდესო. მართლა, ბევრჯელ გენახამს რომ ერთი ქართველი სამსა და ხუთს სომეხს დააფრენს სიფიცხითა და მისთვის ისინიც ასრე დამტერებულ არიან!

ამ გვარი უწესოებაების მოსპობა ქალაქის უმფროსის ვალია: მაგრამ რა ჰქმნას ქალაქის უმფროსმა, რომელიც თვლია, რიერთიც ნიჭიერი და რიერთიც ფიცხი კაცი იყოს, ვერ გაუეა სომეხების რძითგან დაყოლილს მოწინაღმდეგობას. მითი კაცი და ერთი ქალაქი, რომელ ერთს გაუვიდეს?.. მეტადრე უეზდის უპრავლენია, პოლიცია ქალაქის განაკიდურს არის, თითქო ქალაქის შემოსასევე მტრის მცველადო! სანამ მომრიგენ იქ მივიდეს, შუაში ბევრი წყალი მიდის და აე კაცს თავისი მიაქვს! ძლიერ კარგი იქმნება და გონიერული, რომ უეზდის პრავლენია და პოლიცია შუა ქალაქში გარდმოვიდოდეს. ამ გვარ უწესოებაების მოსასპობლად მისწრობა იქმნება!

მომავალ არხეოლოგიურ კრებასა და გამოფენას მრავალნი თანაუგრძნო-

ქსებში. ბრძობათა სიღრმე, ზედმიწევნილი ფანტაზიის ძალა და ნათლათ აზრის გამოხატვა—აჰა ღირსებანი მისი მუხისა. წაიკითხეთ, მაგალითებრ „მეზანა“ და მითხარით, ვის ნაწერში, არა თუ თანამედროვე პოეტთა შორის, არამედ მდგომარე საუკუნის მრთელს ჩვენს ლიტერატურაში, გამოინახება მზავისის სიმძლავრით სულის ლელვარება, გრძობათ ტანჯვა და გულის კვნესა, როგორც ამ მოკლე ლექსში. აქ პოეტის ფანტაზიის ფრთები თითქო ცის კამარას ევდებან, გრძობათ ზვირთები ყელს შემოგვლოია, თითქო განზრზობნო.

დიდი ღირსებაა, როცა მწერალს ამგვარი ვაღვლენა აქვს მკითხველზე, როცა ის ერთის წამის ვანმავლობაში მაინც მოაცილებს მკითხველს ამ ხრწნილ სოფელს, აუძგერებს გულს და გაუცხოველებს ტვინის ძაფებს.

ჯერ-ჯერობით მე არ მაქვს განზრახვა წარუდგინო მკითხველს სრუ-

ბენ, რადგან საინტერესო შედეგე ქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის და სხვათა: ბევრი რამ მოიპოვება ჩვენს სამესხოსაკენ, უფრო ძველის-ძველი ნივთები სპილენძულის საჭურველი (იარალი). ხელად გვაქვს შუბი, შუბ-სულელები და სატევარი, აგრეთვე საცერულები, კერპი იხვი და მისთანა წვრიმალი.

ბარდა ამისა მე ენახე ჯავახეთში ერთის მესხისას, ვერცხლის თასი და ვერცხლის კულა, რომელიც უკვე დაღწერე შარშანდელს გაზეთში; მაგრამ ამაზედ არხეოლოგიის საზოგადოებამ ყურადღება არ მიაქცია. მს ვერცხლის კულა და თასი უნდა ეკუთვნოდეს ჩვენს ქართველთ რომელსა-მე მეფესა, რომელიც სცხოვრებდნენ კერპთ მსახურობისა. ამაზედ ამოთხრილია ჩვენი მეფების არმა თავში, შემდგომ პარსებისა, მგრმე სომხის მეფებისა და სხვათა, რომელიც ბევრს სწავლულს ალუძრავს მიზიდულებასა და გააცნობს ძველ დროების მნიშვნელობასა.

ძლიერ კარგი იქმნებოდა, რომ არხეოლოგიურ საზოგადოებას გამოეცა სურათებით მეგობრულთა, შიგნიკელითა, ასურებისა, პრიანელებისა და მისთანა ძველ ტომთა ნივთეულობა ავეჯულობისა, სამკაულთა, იარაღთა თუ ჭურჭლეულთა ფორმები, რომლით ყოველ კაცს გაუადვილდებოდა ძველ ნივთების შეკრება. მსეც ცხადია ყველასთვის, რომ კიდეც იცოდე და ჰხედვედე ვისთანმე ჩვენებურ გლეხთან გინდ მოქალაქესთან მისთანა ძველ ნივთს, თუ ჩასცდა ყურში მისი გამოსადგვობა, ტყვია ვერცხლად იქცევა, სპილენძი ოქროდ და თიხა ალმასად! და ქვეყანა რომ თავს დაახვიო, ვერ გამოიტან იმისგან, აი რა ძნელია უსწავლელობა?..

ზავლილ წლებში ხიზის ერთ ციციბო კლდის მარათის გასაველ წავარნაზედ აღმოჩინათ ხიზაბერელ მეცხვრებს ჩაფლული წვრილი ქვევრები. შუა ქვევრში ენახათ ყვითელი და ვრცელი განხილვა რომელიმე ჩვენის მწერლისა. უფრო საფუძვლიანი კრიტიკა შემდეგისთვის გადაგვიდვია; უმთავრეს დაბრკოლებას ამ აზრის შესასრულებლათ ჩვენ ეხედვით იმაში, რომ ჩვენი თანამედროვე მწერლების ნაწერები არ არის ერთად შეკრებილი, გაბნეულია სხვა-და-სხვა დრო-გამოშვებით გამოცემებში.

ამ მოკლე წერილში ჩვენ მხოლოდ გესურდა გვეჩვენებინა, თუ რა დამოკიდებულება აქვს ბარათაშვილის მუხას. საქართველოს საზოგადოების მდგომარეობასთან, იყო კაენის პოეტი გამომთქმელი ჩვენის გულის ტკივილისა თუ არა. ამგვარისავე დედა-აზრით ეიხელმძღვანელებთ ჩვენ შემდეგშიც, როცა თანამედროვე მწერლებს შევეცებით.

ვლ. მაქვლიძე.

შავის ზღვის სვირთნი ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა აწ მოგვიგვიან მარჯალის მხრით ჩვენთა მოძქითა!

ქიდევი წინ იმავე ლექსში:

უამ ვითარებით გაზდახვეწილთ შქით შვილთ მიდამო, მოაქეთ მამულში განათლება და სმს საამო, მათი ცხოველი, ტრფიანლებით აღსაკვესული უღრბს ეიხულსა ჩაწილეოთსა, ვანცე-ცნლესული. და მუნით ზიდევენ თესლთა მკრთფასთ მშობელს ჰევენასს

საუბედუროთ, ნ. ბარათაშვილის დიდი ხანი არ დასცლია, რომ ამ იმედს მართლა გაცხოველებინა მისი მამულის უბედობის გამო დასჯილი არსება და შეეწრო მისთვის ცრემლი, რომელსაც სამწარით ჰღვრიდა, როცა მოაგონდებოდა ხოლმე საქარ-



ფული ტლანქად მოკრილი. მსენი ამ ქვეყნს წამოიღებენ და ერთ ხარგარში შეინახვენ სალამომდის. სალამოზედ მივლენ, ნახვენ, რომ ქვეყნში არა თუ ოქრო არის, როგორც ჰგონებდნენ, არამედ შავი ცხერის მატყლით ამოვსებული; ეს მატყლი მოუტანიათ სახლში დაურთავსთ მოუქსოვით, ჩაუყვით და კიდევაც დაუცვეთათ. ბევრი იმისთანები სხვაცა. შთუოდ ქალხიდის ოქროს მატყლონის თილისმით ყოფილა ამ მეცხერების ნაპოვნი ოქროთ საფხე ქვეყრი დაჯადოებული!..

ვინმე მესნი.

უცხოეთი

ინგლისი. ირლანდიელ რევოლიუციონერს პარნელს შემდეგის სიტყვებით მიუმართავს ირლანდიელთადმი:

„ბატონებო, მე მქონდა პატივი მიმელო თქვენი გარდაწყვეტილება, 8-ს რიცხვს თქვენ-მიერ მოხდენილს სხლამაზედ, გარდაწყვეტილება, რომელიც მიწვევს მე წავიდე ამერიკაში და ამ ქვეყნის ხალხს გამოუცხადო თქვენი სიყვარული, და ვსთხოვო დახმარება ირლანდიელთ გარდასახლებისათვის; კარგათ გავარკვიე ეს თქვენი გარდაწყვეტილება, დიდხანს ვარჩიე, იმ პირების დახმარებით, რომლებიც პატივის-ცემის ღირსნი არიან, და გარდაწყვეტიე, რომ დავრჩე ისევ ირლანდიაში და გავაგრძელო თავს-მჯდომარეობა პარლამენტში, რადგან აქ უფრო საჭირო ვარ ეხლა, ვინემ საღმე სხვა ქვეყანაში.

„აი მიზნები, რომლებიც მიძილებენ მე ასე მოვიქცე: წარმართება ჩვენი მოქმედებისა ამერიკაში, დამყარებულია თვით ირლანდიის მოქმედებაზედ. თუ ჩვენ შევიძლებთ და გავმარდებით, ამერიკელებიც და ამერიკელი ირლანდიელებიც, ყოველთვის თანაგრძობას გამოავიცხადებენ. თუ ჩვენ დავფარდებით, ისინიც დაგვადგებენ. ინგლისის მართებლობამ იმ ზომამდის მიგვიყვანა, რომ დავგრძენია მხოლოდ ორი გზა: ან ყველა ირლანდიელ დეპუტატთა უნდა მიატორონ პალატა და გამოუცხადონ მათ ამომარჩევლთ, რომ მათ გამოსთხლიშეს ხელიდამ კონსტიტუციონური წარმომადგენლობა, და ან ყოველის ღონის-ძიებით ვეცადოთ გავარცხლოთ ჩვენი მღვლვარება ინგლისში და შოტლანდიაში. ამ მეორე გზის უფრო იმედი მაქვს მე, რომ უკეთეს დასკვნამდის მიგვიყვანს, ირლანდიის ღირსებისათვის მე ვთხოვ ფერმერებს და არენდატორებს შაინახონ კავშირი და განწყობილება ერთმანეთს შორის. თუ ისინი ესე მოიქცევიან, თუ მედგრათ დადგებიან უარზედ, იქვი არ არის, გამარჯვება, მშვიდობიანობა და კე-

თილ განწყობილება ჩვენი ქვეყნისა დაასაჩუქრებს მათ მომავალში.

ჩარლზ-სტიუარტ პარნელ.

საუბრანბათი. დეპუტატთა პალატამ გაათავა რჩევა ბეჭდვის ახალ წესებისა და შეიტანა თავის გარდაწყვეტილება სენატში. დანაშაულობათა შორის პალატამ ჩარიცხა რესპუბლიკის პრეზიდენტის შეურაცყოფა. შვიდურენი რადიკალები, რომლებიც ყოველ შემთხვევაში უფრო ნაკლებად ჰფიქრობენ პრეზიდენტ ბრევიზე, ვინემ შამბეტაზედ, ძალიან წინააღმდეგნი იყენენ ამ მუხლისა; საზოგადოთ ახალი კანონები ბეჭდვას ყველა ძველ კანონებზე უფრო მომეტებულ თავისუფლებას აძლევს.

განცხადებანი

თოხილისი გინაზიის კვლავობიურ რჩევისაგან

26 სექტემბერს ამა 1881 წელსა, მართებლობის ნებართვით, იდღესასწაულებს თბილისის გიმნაზიის ორმოცდაათი წლის არსებობას.

შედაგოგიურ წრევის მინდობილებით, ერთი გიმნაზიის მასწავლებელთაგანი ამზადებს ამ დღისთვის ისტორიულ აღწერას ამ სასწავლებლისას. სამწესწარად, თბილისის არსებობაში არ აღმოჩნდა გიმნაზიის ისტორიისათვის ბევრი უსაჭიროესი მასალები (დოკუმენტები), რის გამო ისტორიული აღწერა ძალა-უნებურად, სუსტად გამოდის. ამასთანავე, რაც მასალებია, ისიც მომეტებული ნაწილი ოფიციალური და ფორმალური ხასიათის აღმოჩნდა. ამისთვის შედაგოგიური წრევა მიჭმართავს ყველა იმ მრავალ შიერთ, რომელნიც თბილისის გიმნაზიის მასწავლეთ ყოფილან, და სთხოვს დაეხმარონ მას ამ საქმეში ყოველგვარ ამ გიმნაზიის შესახებ, ცნობების წარმოდგენიან, რაც შეიძლება მოკლე ხანში, განსაკუთრებით შესახებ გიმნაზიის შინაგან წყობილობისა: სწავლის მსგელობისა ანუ მეთოდისა, ან რომელიმე გამოჩენილი მოვლენებისა, მასწავლებელთ ხასიათებისა, უფროს შიერებისა და, საზოგადოთ ყველასი, ვისაც კი რაიმე მონაწილეობა მიუღია ამ მთელ კავკასიის მხარეში უძველესის სასწავლებლის ბედში, საიდანაც გამოესულან ვერე მრავალი რიცხვია სხვა და სხვა გვარ მომქმედებთა, რომელთაც უმრავლესთ და ეხლანც შრომათებ ყოველგვარ ასპარეზზედ ჩვენს მხარეში.

ეს ცნობები უნდა გამოიგზავნოს თბილისის გიმნაზიის დირექტორის სახელზედ. (3-2)

ლონდონის მაღაზია გამოქრული ბანკის ქვეშ დაარსებულია სამდვილი ჩაის გასასყიდლათ შიშველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-

გალითურ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტკებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვჭებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუსებისა, საჭიანისა, შხოკებისა, ცხვირ-სახრცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კაღმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშკუნისა ზეთისა) და სხვ. სააგენტო მანკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკონის და კამშ. მურასისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდებისა ნოტინგამიდაში. ნამდვილი ჭკანას სიგარები. (100-30)

აუქციონი

თებერვლისა 28-სა და მარტის 7-სა და 14-ს ამა 1881 წელსა კავკასიის აქეთა მხრის ჰრიკაზში გაისყიდება ვადა გასული დაგირაგებული ნივთეულობა.

ვერცხლეული, ოქროული და ბრილიანტეული. (3-1)

პაბანბიანი უჩოტაბი თბილისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდან; სარძევე 30 კამშ.; რუქები 5 კ.-დამ; ფილტრები (წელის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გვადრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუე; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში. (100-99)

შველანედ უფრო ბევრი საქონელი კავკასიის აქეთა მხარეში ინგლისის მაღაზიაში, ანწორის გადღეკეიაში: ღირს სახასხავად.

ისაქიდა სასამთრო მოსახურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურაბები. 500,000 კლიტკები, ფადნოსები და კაღმები 30% უფრო იაფად, ვიდრე საღმე სხვაგან. 2-9

დასაქიდა უახუბით: სასამთრო შალტკები 12 მანეთიდან; ჭურჭაიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთიდან, ფადნოსები 5 კამპიკიდან; თეფშები 12 კამ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კამპიკიდან, და ჩაი, რომელიცა ყველგან 2 მ. 50 კ. ღირს, ისე უიღება 1 მან. 80 კ.

ინგლისის მაღაზიაში, ანწორის გადღეკეიაში. (20-2).

ლონდონის მაღაზია მრეწის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიანტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასასყიდელად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მა-

გალითად: თოფებისა, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოლნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, კიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100-39)

მიუხედავით იმისა, რომ ზაყი მთიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინისკი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშენიერი ვაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრეულ ვარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალაღლოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთიდან და თოფები 20—200 მანეთიდან. ინგლისის მაღაზიაში. სააგენტო მანკინტოშის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტკებისა, შოკოლადისა და ექსტრანქისა კაკაო ჭრის, რომელთაც დაიმსახურეს ზარეის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდას ბლამათ ინგლისის მადანაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100-28

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

კაღაბო ჩვენს წინა—1 მ. 10 კ. მოსკოვის წინა—1 მ. 40

— — —	1—20	— —	1—60
— — —	1—40	— —	1—80
— — —	1—60	— —	2—
— — —	1—80	— —	2—50

საუკეთესო—2— „ — — 3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაინდები, გასაღებები, დანები, კოვჭები, ტაშტები, კალმები, ქალაღდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში, შინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდან 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100-97)

ისყიდება ყოველ-გვარი თუჯისა და სპილენძის ნივთები მაღაზიაში—წმ. ზიორგის ეკლესიასთან, მღვიანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25-19)

ინგლისის მაღაზიაში ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასა 1 მან. 50 კამ. შველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვიდრეც სხვაგან. (20-13)